726 ~ 8992

სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების ბიულეტენი

№ 6 (311) გამოცემის მე-17 წელი

1973 წლის მარტი

ეს მთაც ჩვენია,
ეს ბარიც,
ამ მიწის უველა
მშვენებაც,
ზეცას აწვდილი
ზვიადიც,
მადლიც, ბარაქაც,
შენებაც!

დუტუ მეგრელი

ჰაპარაპ ქართველი

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი!

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო —
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო.

ქვეყნის თვალი ეს ქვეყანა
ღვთის მშობლისა არის წილი;
ბევრ მწარე დღეს მოსწრებია
და უნახავს ბევრიც ტკბილი.

მე პატარა ქართველი ვარ,
სახელოვან ერის შვილი
და მსურს მერგოს სასახელო
მე სიცოცხლე და სიკვდილი!..

ქრონიკა

ამას წინათ გაიმართა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც დაამტკიცა გაზეთ „სამშობლოს“ სარედაქციო კოლეგიის შემდეგი შემადგენლობა:

გუდიაშვილი ვლადიმერი (ლადო) — საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი; **ეგაძე ოთარი** — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; **კარბელაშვილი გივი** — „სამშობლოს“ რედაქტორი, მწერალი; **ლაღიძე რევაზი** — საქართველოს სახალხო არტისტი, კომპოზიტორი; **ლორთქიფანიძე მარიამი** — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **მაჭავარიანი რაიმონდი (რევაზი)**—„სამშობლოს“ პასუხისმგებელი მდივანი, ჟურნალისტი; **მიქელაძე ირაკლი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ძიძიგური შოთა** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **წულაძე სერგი** — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მთარგმნელი.



მეცნიერული თანამშრომლობა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ელეფთერ ანდრონიკაშვილმა მიიღო ცნობილი ამერიკელი ბიოფიზიკოსის, ბავშვთა კიბოს დაავადების ინსტიტუტის (ბოსტონი) პრეზიდენტის პროფესორ სიდნი ფარბერის წერილი წინადადებით — განახორციელონ ერთობლივი კვლევა ადამიანის ნორმალური და კიბოს უჯრედების ნუკლეინის მჟავეებში ლითონის შემცველობის შესახებ. ამერიკელი სპეციალისტები იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც მიღწეული იყო ბოსტონში ელეფთერ ანდრონიკაშვილის ყოფნის დროს, მზად არიან იკისრონ ამ დიდმნიშვნელოვანი კვლევითი პროგრამისათვის საჭირო ბიოლოგიური მასალით ქართველ მეცნიერთა უზრუნველყოფის ვალდებულებანი.

ქართველ ფიზიკოსთა კვლევის შედეგები მოახსენეს 1972 წლის აგვისტოში მოსკოვში გამართული ბიოფიზიკოსთა IV საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. კიბოს უჯრედებში შემავალი ნუკლეინის მჟავეების მაკრომოლეკულები განსხვავდებიან მათში ზოგიერთი დიდძალი მიკროელემენტის ნორმალური შემცველობისაგან. ამ მოლეკულებში არის, მეტი თუთია, სტიბიუმი, რკინა, კობალტი, ვერცხლი და სკანდიუმი, ვიდრე ნორმალური ქსოვილების მოლეკულებში. ეს დასკვნა გამოიტანეს ქართველმა ფიზიკოსებმა, როცა გამოიკვლიეს ატომურ რეაქტორზე ჯანსაღი და კანცეროგენური ნუკლეინის მჟავეების ქიმიური სტრუქტურა.

ამ სამუშაოს ხელმძღვანელმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ელეფთერ ანდრონიკაშვილმა განაცხადა:

— გამოკვლევამ ფიზიკის ინსტიტუტის ატომურ რეაქტორზე, ნეიტრონული აქტივაციური ანალიზის მეთოდის გამოყენებით, გვიჩვენა, რომ თუთია, ისევე როგორც სხვა მიკროელემენტები, შედის კიბოს უჯრედში შემავალ დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის და რიბონუკლეინის მჟავის შემადგენლობაში. როგორც ჩანს, თუთია გავლენას ახდენს ნუკლეინის მჟავეებისა და ცილების ბიოსინთეზის სიჩქარეზე, რაც აჩქარებს ავთვისებიან სიმსივნეებში უჯრედების არაკონტროლირებულ ზრდას.

მიკროელემენტები რომ გავლენას ახდენენ ცილებისა და ნუკლეინის მჟავეების ბიოსინთეზზე, დაადასტურეს ამერიკელ, კანადელ, დასავლეთგერმანელ მეცნიერთა ნამუშევრებმა. ჩვენმა გამოკვლევამ საშუალება მოგვცა გვეპასუხა გადაუჭრელ ძირითად კითხვაზე: უჯრედების რომელი ელემენტი შეიცავს თუთიას.

ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებთან ერთად ლეიკემიის პრობლემების შესწავლა საშუალებას მოგვცემს უკეთ შევუთანხმოთ ერთმანეთს საბჭოთა და ამერიკელი ბიოფიზიკოსების ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ავთვისებიანი სიმსივნეების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების გადაჭრას.

ახალი ამბები

ხალხის სამსახურში

საუბარი საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარესთან, სსრ კავშირის სახალხო არტისტ
ანდრია გალანჩიძესთან

დიადი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად გაწლილ მრავწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტურ შეჯიბრებას მხარი აუბეს ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებმა. ქართველი კომპოზიტორები სულითა და გულით ეხმაურებიან ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში. საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირმა არაერთი საინტერესო და საქმიანი ღონისძიება დახარა დევიზით „მუსიკა — ხალხს". ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება კონკურსი მცირე ფორმის ვოკალურ-სიმფონიურ ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომლებშიც აისახება სახალხო მეურნეობის მოწინავე ადამიანების შრომა, ჩვენი დღევანდელობა. მალე მოეწყობა თეორიული კონფერენცია თემაზე: „ქართული მუსიკის განვითარების ახალი გზები და ამოცანები".

ქართველი კომპოზიტორები გაემგზავრებიან რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებში — ქუთაისში, ზესტაფონში, ჭიათურაში. ხერგო ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს, ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივსა და ქართველ მადაროელებს გააცნობენ ახალ ნაწარმოებებს, მოუსმენენ მათ აზრს, გაეცნობიან მხატვრულ თვითმოქმედებას, დაეხმარებიან შემოქმედებითად.

კომპოზიტორთა დიდი ჯგუფი გაემგზავრება ენგურჰესის სახელობის მშენებლებთან საქართველოს რადიომაუწყებლობის სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. გაიმართება შეხვედრა-კონცერტი ორმაჩირის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში. უხვი მოსავლის ოსტატები მოუსმენენ ახალ მუსიკალურ ქმნილებებს, კომპოზიტორები გაეცნობიან შრომის გმირების, სოფლის მოწინავე ადამიანების ცხოვრებას და სხვა.

მოგზაურობა საზღვარგარეთ

საქართველოს პროფკავშირების 1973 წელს მუშა-მოსამსახურეებისათვის ბევრი საინტერესო საზღვარგარეთული ტურისტული მოგზაურობა დასახულს.

ტურისტთა ძირითადი ნაკადი სოციალისტურ ქვეყნებში იგზავნება. იქმნება სპეციალიზებული ჯგუფები სახალხო მეურნეობის დარგების, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით. ბულგარეთში მიემგზავრებიან ნავთობის, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა, მშენებელთა, პედაგოგთა ჯგუფები, ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის რაიონების, ქალაქ ფოთის მშრომელები; უნგრეთში — ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშაკები; გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — ავტოტრანსპორტის, მსუბუქი, ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკები, მშენებლები, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის მეტროპოლიტენის მშრომელები; პოლონეთში — სპორტსმენები, რკინიგზელები, სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკები, თბილისის პირველი მაისისა და ოქტომბრის რაიონების მშრომელები.

ბულგარეთზე გადის რამდენიმე ტურისტული სვლაგეზე. საქართველოს მშრომელები ამ ქვეყანაში იმოგზაურებენ ან დაისვენებენ კურორტ ოქროს ჭვრეტაში. სპეციალური ჯგუფები ესტუმრებიან „ოქროს ორფეოსის" ფესტივალს და მწყემსთა დღესასწაულს. აჭარის მშრომელნი ბულგარეთში ესტუმრებიან დამობილებულ ქალაქებს.

წელიწადს მეტი ტურისტი გაემგზავრება ორ ქვეყანაში ერთად —ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში, ბულგარეთსა და იუგოსლავიაში, პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რუმინეთსა და ბულგარეთში.

საქართველოს მშრომელებს უყვარდათ მოეწონებათ მოგზაურობა სამხრეთ ჩეხიაში, იუგოსლავიის ზაგრების ბაზრობის სტუმრობა, რუმინეთის" — ეფორიანორდის კურორტზე დასვენება.

მშრომელები იმოგზაურებენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში.

შეიტყობენ იმოგზაურებენ წამყვან პროფესიათა მუშაობის სპეციალიზებული ჯგუფები. მანქანათმშენებლები მიაშურებენ პოლონეთს, სოფლის მეურნეობის მუშაკები — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, მშენებლები და სამენ მასალათა, მრეწველობის მუშები — ჩეხოსლოვაკიას, მსუბუქი მრეწველობის მუშები — ავსტრიას.

ტურისტთა სპეციალიზებული ჯგუფები ეწვევიან ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას, ფინეთს, იტალიას, ინდოეთს, იმოგზაურებენ ევროპის გარშემო და დუნაიზე. მოეწყობა მოგზაურობა თბომავლებით ბალტიის ზღვასა და შავ ზღვაზე.

საქართველოდან ტურისტები საზღვარგარეთ გაემგზავრებიან აგრეთვე საკუთარი ავტომობილებით.

ქალთევზაობით — სახელგანთქმული ქარხანა

ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის პროდუქცია — წყალქვეშაფრთიანი კატარღა მსოფლიოს 44 ქვეყნის წყლებს სერავს.

შარშან ქარხანამ ბენზინის ძრავა შეცვალა დიზელის ძრავით, რამაც გააადვილა კატარღის მართვა, სალონში შემცირდა ხმაური, ამაღლდა მანევრირება. ესეთი კონსტრუქციული გაუმჯობესების შედეგად კატარღას უმაღლესი ხარისხი მიენიჭა.

1972 წლის მილანის, ამსტერდამისა და სხვა ქვეყნების ბაზრობებზე ბათუმურმა კატარღამ დიდი მოწონება დაიმსახურა, ხოლო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გამოფენაზე ოქროს მედალი მიეკუთვნა.

...

გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის კოლექტივის მიერ იანვარში გამოშვებული პირველი პროდუქცია—საჩარხო ტრანსფორმატორები უკვე გაიგზავნა საზღვარგარეთის ქვეყნებში — საფრანგეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თურქეთში.

თბილისის უნივერსიტეტის სტუმრები

● ვროცლავის (პოლონეთი) პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის უფროსი ასისტენტი ალექსანდრ ვერონი კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე პროფესორ ნიკოლოზ ვახანიას ხელმძღვანელობით გადის ათთვიან სტაჟირებას.

● ერევნის უნივერსიტეტის ფრანგი სტაჟიორი ქრისტინა დონჟონი არქეოლოგიის კათედრაზე ერთი კვირის განმავლობაში სწავლობდა მისთვის საინტერესო საკითხებს პროფესორ ოთარ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

● ერევნის უნივერსიტეტის იტალიელი სტაჟიორი გაბრიელა ულოჯიანი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის კათედრაზე ერთი კვირის განმავლობაში მუშაობდა პროფესორ ივანე შილაკაძის კონსულტაციით.

● გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სტუდენტებმა, რომლებიც დონეცკის უნივერსიტეტში სწავლობენ, დაათვალიერეს თბილისის უნივერსიტეტი, საქართველოს დედაქალაქისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი.

ჩეხოსლოვაკიის დიპლომი ციხისძირელებს

პრაღაში მოეწყო გამოფენა „სსრ კავშირის 50 წელი". აქ წარმოდგენილი ექსპონატებისათვის გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტმა ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი დააჯილდოვა დიპლომით.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს ულოცავს დიპლომით დაჯილდოვებას, მადლობას უხდის და იმედს გამოთქვამს, რომ ციხისძირელები მომავალშიც მიიღებენ მონაწილეობას საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებში.

ეგვიპტელი პიანისტი

კაიროს ეროვნულ კონსერვატორიაში წლების მანძილზე მოღვაწეობდა ქართველი პროფესორი, ამ უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის ყოფილი რექტორი — ირაკლი ბერიძე.

ამ დღეებში ქართველ პროფესორთან ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშით წარდგა ეგვიპტელი სტუმარი, სახელგანთქმული ახალგაზრდა პიანისტი რამზი იასა, რომელმაც წარმატებით დაამთავრა კაიროს ეროვნული კონსერვატორია. რამზი იასა მონაწილეობდა ორ საერთაშორისო კონკურსში.

1971 და 1972 წლებში მან დაიმსახურა მარგარიტა ლონგისა (საფრანგეთი) და ვიოტის (იტალია) სახელობის კონკურსების პრემიები.

რამზი იასას თბილისური კონცერტის პროგრამაში იყო ბეთჰოვენის, შოპენის, რაველისა და ლისტის ნაწარმოებები.

მეგობრების შეხვედრა

თბილისის 43-ე საშუალო სკოლა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების კოლექტიური წევრია და თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ამ ორი ერის მეგობრობის განმტკიცებაში.

უნგრეთთან მეგობრობა 43-ე სკოლამ ორი წლის წინათ დაიწყო. ეს მეგობრობა განსაკუთრებით მაშინ განმტკიცდა, როცა ამ სკოლის პიონერები ეწვივნენ უნგრეთს.

სკოლაში არსებობს უნგრეთის სექცია და უნგრული ენის შემსწავლელი წრე, რომელშიც უფროსი კლასების მოსწავლეები არიან გაერთიანებული. ისინი სისტემატურად ეხმაურებიან და აღნიშნავენ უნგრელი ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვან თარიღებსა თუ ფაქტებს.

ამ დღეებში თბილისელ ბავშვებს ეწვივნენ ცნობილი უნგრელი პოეტები ოტო დემენი, დულა შიპოში და საბჭოთა კავშირში უნგრეთის საელჩოს პირველი მდივანი მატიაშ მატრაი, რომლებიც მონაწილეობდნენ უნგრელი ხალხის უკვდავი შვილის შანდორ პეტეფის იუბილესადმი მიძღვნილ ზეიმში.

ქართველი მეცნიერის ჯილდო



„ვერცხლის ფუტკრის" ორდენი და სტეფან ზავოდნიკის სახელობის მედალი.

შარშან ჩეხოსლოვაკიაში გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი დიდგელის — (ფუტკრის წებოს) თვისებებისა და მისი სამკურნალოდ გამოყენების შესახებ. ბრატისლავაში გამართულ ამ დიდ ფორუმზე მსოფლიოს გამოჩენილმა მეცნიერებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მეცნიერული კვლევის შედეგები და დასახეს შედიცინაში დიდგელის გამოყენების პერსპექტივები.

საბჭოთა კავშირს დიდგელის კვლევის საქმეში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნის მსოფლიოში, ქართული ფუტკარი კი სხვა ფუტკრებთან შედარებით დიდგელს ყველაზე მეტი რაოდენობით აგროვებს. ჭართულ ხალხურ მედიცინაში დიდგელი წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა დაავადების დროს.

სიმპოზიუმზე მოხსენებით წარდგა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ მაყაშვილი. ქართველმა მეცნიერმა დამსწრეთ გაუზიარა თავისი კვლევის შედეგები, დაახასიათა საქართველოს პირობებში შეგროვილი დიდგელის ფიზიკო-ქიმიური თვისებები, დასახა მისი გამოყენების პერსპექტივები მედიცინაში.

ბრატისლავის სიმპოზიუმმა ზურაბ მაყაშვილის ნაშრომის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა. სლოვაკიის მეფუტკრეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მეცნიერი დაჯილდოვდა „ვერცხლის ფუტკრის" ორდენით. ამასთან ერთად ზურაბ მაყაშვილს მეფუტკრეობის პრომაგანდისათვის მიენიჭა სტეფან ზავოდნიკის სახელობის მედალი (სტეფან ზავოდნიკი სლოვაკიის მეფუტკრეობის გამოჩენილი მოამაგე იყო XIX საუკუნეში).

ზურაბ მაყაშვილი უკვე რამდენიმე წელიწადია ნაყოფიერ მეცნიერულ-კვლევით მუშაობას ეწევა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა თაფლის, დიდგელის, ფუტკრის რძისა და ყვავილის მტვრის შესახებ, ავრეთვე საცურნალო და საგაზეთო სტატიები. მანვე შეაგროვა უნიკალური კოლექცია ფუტკრისა და მეფუტკრეობის შესახებ. ამ კოლექციაში ძველებური და ახალი მედლები, მონეტები, საფოსტო ბარათები და მარკები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი კოლექციის ექსპონატები მეფუტკრეობის მთელ ისტორიას გამოხატავენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნიდან დღემდე.

გამომცემლობა „მეცნიერებამ" დაამთავრა ზურაბ მაყაშვილის კაპიტალური ნაშრომის — „მეფუტკრეობის ტერმინოლოგიის" ბეჭდვა, რომელიც მეფუტკრეობის ყველა ტერმინის რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონია. აქ თავმოყრილია ზურაბ მაყაშვილის მიერ წლების განმავლობაში შეგროვილი უამრავი ხალხური სიტყვა, რომელიც აგრეთვე თავისებურად გამოხატავს მეფუტკრეობის განვითარებას საქართველოში.


მეცნიერს აქვს სხვა გატაცებაც — იგი უკვე მეცხრე უცხო ენას ეუფლება წარმატებით, სწერს ესპერანტოს სახელმძღვანელოს, მისდევს ფერწერას. ზურაბ მაყაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მშვენიერი ლექსების ციკლი მოზარდთათვის.

ედუარდ გიგილაშვილი
ავტორის ფოტოები.



ზურაბ მაყაშვილი ნორჩ სტუმრებს აცნობს თავის კოლექციას.

ნი-კა პა-პა


დიპლომი
№ 51
ნიკო გოძაძე
უნივერსიტეტში



იყალთო გომბორს იქით დარჩა, იყალთო და ნიკა პაპა. კაშკაშებს გაზაფხულის შუა, უფრო რომ იგრძნობა სოფლად, სადაც თითეული დღეა და საათს დიდი ფასი აქვს. გაზაფხულის ერთი დღე წელიწადს კვებავს. ბაღ-ვენახებს შესევიან ადამიანები. ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ნიკა პაპა ვენახს ბარავს. ერთი კვირაა ბარავს. ხვალ და ზეგ ალბათ დაამთავრებს კიდეც. მერე? ვენახში სამუშაოს რა გამოლევს, ვაზს ათასნაირი დამუშავება სჭირდება, გასხვლის შემდეგ დაკაფვა, შეყულვა, შეფურჩნვა, რამდენჯერმე შეკამლვა, გოგირდი... ყველაფერი დროის კონკრეტით არის გამოზომილი, სახვალიოს დღეს ვერ გააკეთებ. დღევანდელ საქმეს სახვალიოდ ვერ გადასდებ. მაშინ, მხოლოდ მაშინ იცის მამაპაპურმა რქადაგრეხილმა შრომისა და გარჯის დაფასება. ეს ნიკა პაპაზე უკეთ არა მგონია ვინმემ იცოდეს. ხისხმაზზე ჩადის ვენახში და შებინდებისას ბრუნდება შინ. იმ დღესაც ესე იყო...

იყალთოს ღვინის ქარხანასთან პატარა ბიჭებს საღამოს ფეხბურთი გაეჩაღებინათ. ნიკა პაპა სადა ცხოვრობს-მეთქი, ვკითხე.

თამაშს თავი ანებეს, მანქანას შემოეხვივნენ — ნიკა პაპას სახლს ჩვენ თვითონ გიჩვენებთო. დაიხუნძლა მანქანა პატარა ბიჭებით, იყალთოს აკადემიის შეღმართთან მარცხნივ გადაუხვიეთ და ნიკა პაპალაშვილის სახლს მივადექით.

დედაბერი ხალისიანად მოგვესალმა, შინ შეგვიპატიჟა, ცოცხლად წაგვიძღვა.

ცოტა უადგილო კი იყო, მაგრამ ვერ მოვითმინე — ნინო ბაბოს წლოვანება ვკითხე.

— ოთხმოცდათხუთმეტი წლისა ვარ, — მიპასუხა.

ეზო შევუქე, ესიამოვნა და ძველი მეგობარივით გამანდო — ბიჭს აქ უნდა გადავუსადოთო ქორწილი.

— რომელ ბიჭს?

— გელას, ქა, ჩემს შვილიშვილს, ენაცვალოს ბებო — მერე მიჩვენა გელას სურათები... ამასობაში მოვიდა ნიკა პაპა, კაცი, რომელმაც სიცოცხლის ერთი საუკუნე მოათავა და მეორე საუკუნეში გადადგა. ბარი დერეფანში მიაყუდა, მოგვესალმა... როგორღაც მოწუსხულივით ვუყურებდი, მჭონდა შემთხვევა, ნარკვევი დამეწერა დღეგრძელ აფხაზ მოხუცებზე. იმ მოხუცებს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი აქვთ და ეს მთელმა ქვეყანამ იცის, მაგრამ პირველად ვხედავდი მეორე საუკუნეში გადადგარ ადამიანს, რომელსაც ძალუძდა ვენახში მუშაობა.

— დედაკაცო, — გასძახა მეუღლეს, — ლიტრით წყალი გამომიტა.

დედაკაცმა, რა თქმა უნდა, გამოუტუსტუსა წყალი. ნიკა პაპამ ჯერ მოიყუდა ლიტრა, მერე ისევ ნინო ბებოს მიაწოდა, იმანაც გაუსო პეშვი...

...აივანზე ვისხედით და ვსაუბრობდით.

ღარიბი გლეხის შვილი ვიყავიო, მიამბობდა ნიკა პაპალაშვილი. ჩემი დედ-მამა ლუკმაპურს დღეგამოშვებით თუ იშოვიდა, თორემ საყოველდღეოდ სადა გვჭონდაო. ჩემს პატარა ბიჭობაში ერთმა თავადის ქვრივმა ამიყვანა შვილად, ღვთისნიერი ადამიანი იყო, ოთხკლასიან სასწავლებელში მატარებდა...

— ანბანი მაშინ ვისწავლე, მიყვარდა წიგნი, მაგრამ მალე დამითხოვეს, რადგან იქ თავად-აზნაურთა და მღვდელ-დიაკვანთა შვილები სწავლობდნენ, ჩემი მშობლები კი ბოგანო გლეხები იყვნენ. მახსოვს, როგორი ტირილით გამოვემშვიდობე სწავლას და გულდამდუღრებული შევეჭიდე მიწას. თანატოლებში ერთი უპირატესობა მაინც მჭონდა, წიგნი ვიცოდი და რაც კი ხელში ჩამივარდებოდა, გკითხულობდი.

1905 წლის ამბების დროს ნიკა პაპალაშვილი ცოლ-შვილიანი ვაჟკაცი ყოფილა. ის პერიოდი კი იმიტომ ვახსენეთ, რომ ოჯითონ ახსოვს, მეგობრებთან ერთად გლეხებს ერთობაზე აფიცებდა. სიკეთისათვის იბრძოდნენ. მერე ნიკა პაპაც დაუპატიმრებიათ. ამის შემდეგ პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა, მაგრამ ნიკა პაპალაშვილს კარგად ესმოდა სისხლისმღვრელი ომის ბამდვილი არსი, ამიტომაც იმ ადამიანებთან იყო, რომლებიც ამ ომის ჩაქრობას და რევოლუციის ცეცხლის დანთებას აპირებდნენ. მერე მოხდა მოსახდენი.

იყალთოში ცხოვრობს, შრომობს ყველასაგან პატივცემული და დაფასებული გლეხი ნიკა პაპალაშვილი.

წიგნი? წიგნი დღესაც უყვარს, იმ დღეს სასთუმალთან ირაკლი აბაშიძის „რუსთაველის ნაკვალევზე“ ედო.

შვიდიოდე წლის წინათ, როცა ნიკა პაპალაშვილი 95 წლისა გახლდათ და იყალთოს სახალხო უნივერსიტეტში სწავლობდა, პრესამ იგი პლანეტის უხუცეს სტუდენტად აღიარა. დიახ, სწავლობდა საუკუნეს მიტანებული ადამიანი. მოუსმენია აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის, დავიდ ლანგისა და შოთა მესხიას, კონსტანტინე გამსახურდიასა და ირაკლი აბაშიძის ლექციები და გამოსვლები.

1966 წელს ნიკა პაპას საზეიმო ვითარებაში გადაეცა იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის დიპლომი.

ნიკა პაპალაშვილს იცნობენ საქართველოში, საბჭოთა კავშირში, უცხოეთში. იყალთოს უხუცესი ადამიანის სახელზე მოდის უამრავი წერილი, სწერენ სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. უსერვებენ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ეკითხებიან ცხოვრებისაგან დაბრძენებულ ადამიანს რჩევას...

ნიკა პაპაც ეხმიანება მეგობრებს, თბილისელ, მოსკოველ, რიგელ, გროზნოელ, ქუთაისელ მწერლებსა და მოსწავლეებს. თითოეულს სახელებით იცნობს, იცის, ვის რა უჭირს, რა ულხინს, შეძლებისდაგვარად უწიარებს თავისი ცხოვრების გამოცდილებას.

მიმოწერაზე საღამოობით მუშაობს. ამ საქმეში უცროს მეგობრებსაც იშველიებს ხოლმე. უფრო ხშირად კი რჩეულ მეგობარს, იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორს — გოგი შათირიშვილს. ეს ორი ადამიანი ერთობ მეგობრობენ, მერე რა, რომ მათ შორის თითქმის 70-წლიანი ზღვარია. საერთო მევრი რამ აქვთ: სოფლის, ვაზის, იყალთოს აკადემიის სიყვარული, ადამიანებისადმი ერთგულება...

... იყალთო გომბორს იქით დარჩა. იყალთო და მეორე საუკუნეში გადამდგარი ნიკა პაპა, რომელიც ვენახს ბარავს.

რთველობასაც უნდა ვეწვიო ბერიკაცს...

ლაშა გარეჯელი

სურათებზე: იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის დიპლომის ფოტოპირი, რომელიც გაიცა ნიკა პაპალაშვილის სახელზე 1966 წელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ძოწენიძე ესაუბრება ნიკა პაპალაშვილს (მარცხნიდან პირველი).

სპორტი

...და ოლიმპიური ჩემპიონიც

ოლიმპიურ ასპარეზობათა ისტორიაში, მას შემდეგ, რაც იქ ვოჟთა კალათბურთმა დაიმკვიდრა ადგილი, ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს პირველობა არავისთვის დაუთმია. როგორც წესი, ოქროს მედლები მათ მიჰქონდათ შინ, სხვები კი ვერცხლსა და ბრინჯაოს სჯერდებოდნენ.

მიუნხენის ოლიმპიურ ასპარეზობაზე მიმავალ საბჭოთა კალათბურთელებს გულშემატკივრებმა, რა თქმა უნდა, ოქროს მედლების მოპოვება ვუსურვეთ (ეს უკვე მერამდენედ!), მაგრამ გულის სიღრმეში ვერცხლზეც თანასმა ვიყავით ძნელი, ძალზე ძნელი იყო გადაჭრით გვეთქვა, ამერიკელებს ამჯერად აუცილებლად დავამარცხებთო...

წინასწარი შეხვედრები ჩვენმა ბიჭებმა შესანიშნავად წარმართეს, მათ ყველა მეტოქე დაამარცხეს და ფინალში გავიდნენ. ამერიკელებმაც საკმაოდ იოლად გაიკაფეს გზა გადამწყვეტი მატჩისაკენ. და აი დადგა დიდი კალათბურთის დღეც. სპორტის მოყვარულთ, ალბათ, დღესაც ახსოვთ, თუ მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, როდესაც წინ ამერიკელები იყვნენ, ჩვენმა სპორტულმა კომენტატორმა როგორი გულისტკივილით წარმოთქვა: დიახ, ვერც ამჯერად შევძელით ოცეანისაღმელი მეტოქის დამარცხებაო. მაგრამ სინანული ნაადრევი გამოდგა. საბჭოთა კალათბურთელებმა რამდენიმე ელვისებური გარღვევა განახორციელეს და ქულათა სხვაობაც მინიმუმამდე დავიდა. გამარჯვება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ესე მიუწვდომელი ჩანდა, რეალობად იქცა. მაგრამ ამ დროს გაისმა მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა და ამერიკელი კალათბურთელები სიხარულისაგან მეშვიდე ცას შესწვდნენ... თუმცა მათი ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა — გაირკვა, რომ მატჩი სამი წამით ადრე შეწყდა და წესისამებრ მეტოქეებს კვლავ საასპარეზოდ მოუხმეს. და ის, რისთვისაც ესე თავგამოდებით ვიბრძოდით ათეული წლების განმავლობაში, ამ სამ წამში აღსრულდა. ჩვენმა ბიჭებმა შეძლეს მეტოქის კალათში ვადამწყვეტი ბურთის ჩაგდება და მიუხედავად ოქროს მედლებით მკერდდამშვენებული გამოეშვნენ. მათ შორის, ვინც საბჭოთა კალათბურთის ესოდენ დიდი გამარჯვება მოუტანა, ორი ქართველი კალათბურთელიც იყო.

ერთზე — მიხეილ ქორქიაზე უკვე მოვუთხრეთ მკითხველებს, დღეს კი გვსურს მიუხედეთ ოლიმპიურ ასპარეზობათა მეორე გმირი, თბილისის „დინამოს“ კაპიტანი და 1965 წლიდან საბჭოთა ნაკრების უცვლელი წევრი ზურაბ სა. კანდელიძე გაგაცნოთ.

რვა და-ძმაში ზურაბი თითქოს არაფრით გამოირჩეოდა. როგორც ყველა ქუთაისელ ბავშვს, სპორტის სიყვარული მასაც ადრევე გაუჩნდა. ჯერ ტანვარჯიშმა გაიტაცა, შემდეგ ცოტა ხანს ჭიდაობის სექციაში დადიოდა, მაგრამ არჩეული კალათბურთზე შეაჩერა. ამის მიზეზი კი უფროსი ძმა, ანზორი გახლდათ, რომელიც სამოციან წლებში თბილისის „ჭარიშხალში“ თამაშობდა და სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრების წევრიც იყო. გამოცდილი მწვრთნელი სულაკო თორთლაძე გრძნობდა, ზურაბი დიდი კალათბურთელი გამოვიდოდა, მაგრამ აღსაზრდელს არაფრით ანებივრებდა, პირიქით, მისგან მუტხ მოითხოვდა, არიგებდა — თუ გინდა რამეს მიაღწიო, დღედაღამე უნდა ივარჯიშოთო. ზურაბიც უარჯიშობდა და როდესაც შუნებისაგან მინიჭებულ სისწრაფეს (რისთვისაც ზურაბი დღეს „რეაქტიულ“ კალათბურთელად იწოდება), სრულყოფილი ტექნიკაც შეერწყო, ქუთაისელ ჭაბუკი თბილისის „დინამოში“ ჩარიცხეს. 17 წლის სპორტსმენისათვის რასპუბლიკის უპირველეს გუნდში მოხვედრა, სადაც იმ დროს საქვეყნოდ ცნობილი კალათბურთელები გურამ ხინკიშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან შოსტაშვილი და სხვები თამაშობდნენ, მეტად საპატიო და ამასთან საპასუხისმგებლოც გახლდათ. ზურაბმა ნდობა გაამართლა, მან თავიდანვე დაიმკვიდრა ადგილი უძლიერესთა შორის და სულ მალე მეგობრების მხარდამხარ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელიც მოიხვეჭა.

გადიოდა წლები. კალათბურთელი ზურაბ საკანდელიძე მთელმა მსოფლიომ გაიცნო. საბჭოთა კავშირის ნაკრებში მან ოთხჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის სახელი. 1967 წელს კი მონტევიდეოდან, სადაც მსოფლიოს პირველობა ტარდებოდა, ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა. საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს რაღა თქმა უნდა, ჰქონდა უფლება ეთქვა — სიმაღლე დაპყრობილიაო, მაგრამ ოლიმპიური ოქროს მედლის ბრწყინვალება მოსვენებას უკარგავდა...

და აი მიუნხენში ეს დიდი საწადელიც აღსრულა. სპეციალისტებმა ზურაბი ამ ისტორიული მატჩის ერთ-ერთ გმირად აღიარეს.

— აბა, შენ იცი, უჩვენე კალათბურთის კანონმდებლებს, რას ნიშნავს ქართული ტემპერამენტიო, უთხრა მწვრთნელმა მოედანზე გასვლის წინ ზურაბს და მანაც ისეთი ცეცხლი დაანთო, ისეთი თავგამოდებით შეუტია მეტოქეს, რომ მისი დაოკება ვეღარავინ შეძლო...

სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. კრაბ საკანდელიძე ეხლა 28 წლისაა, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი თავის მომავალს მხოლოდ და მხოლოდ საინჟინრო საქმეებს უკავშირებს, დღეს კი კვლავ თავის საყვარელ გუნდს — თბილისის „დინამოს“ უდგას სათავეში.

მართალია, ამ ბოლო წლებში ქართულმა კალათბურთმა ძველი ელვარება დაკარგა, მაგრამ გვჯერა, ეს კრიზისი დროებითია. გუნდი, რომლის რიგებში ოლიმპიურ ასპარეზობათა ორი ჩემპიონია, კვლავ აღიდგენს რეპუტაციას. სხვანაირად არც შეიძლება — დიდი სპორტსმენები სარბიელიდან სახელშელასხულნი არ წავალენ!

რევაზ მაჭავარიანი



სურათზე: შეტევაზეა ზურაბ საკანდელიძე.

სპორტული ქრონიკა

პირველი გამარჯვება

15 მარტს თბილისში დიდი ფეხბურთი გწვია. საქართველოს უპირველესი გუნდი სსრ კავშირის თასზე კუბოშეევის „ჭრილია სოვეტოვს“ ვასპინძლობდა. ასპარეზობა მეტად საინტერესო გამოდგა. დინამოელებმა მეტოქის კარში ორი წმრალი ბურთი გაიტანეს. ამ გუნდების ხაპასუხო შეხვედრა აპრილის პირველ რიცხვებში გაიმართება.

შავლაყაძის პრიზზე

თბილისის სპორტის სასახლეში ამ დღეებში კიდევ ერთი ტრადიციული საერთაშორისო ასპარეზობა გაიმართა — მსოფლიოს საუკეთესო სიმაღლეზე მხტომელები ერთმანეთს ეცილებოდნენ რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის რუბერტ შავლაყაძის პრიზს.

ქალთა შორის საუკეთესო იყო მსოფლიოს რეკორდსმენი ბულგარელი იორდანკა ბლაგოვა, რომელმაც 188 სანტიმეტრის სიმაღლეზე გადებული თამასა დაძლია.

ვაჟთა შორის უძლიერესის სახელი ჩეხოსლოვაკელმა ვლადიმერ მალმა მოიპოვა (213 სმ).

ასპარეზობაში მსოფლიოს რეკორდსმენი ვალერი ბრუმელიც მონაწილეობდა.

თამარ სვანი

ძველი თბილისის ვერზაპიკა

ძველი თბილისის ყალმით მეხოტბეს — ლადო გუდიაშვილს

ძველი თბილისი, —
მოედანი,
ზურნა,
ამჭარი,
ბანზე ქალები...
ჩიხტი-კოპი —
წმინდა მაქმანი,
ვერძთა ჭიდილი...
ყეენობა,
ღამის თევანი,
გაშლილი სუფრა
და ნაკურთხი
ვაზის მტევანი.
ბესიკის რითმა,
შუშპარები,
ტკბილი საზები,
სავსე ფიალა,
სადღეგრძელო,
მუხამბაზები.
მტკვარის დუდუნი.
ნელი სიო
მთიდან ნაფრენი,
კიტრის ნათალი —
საგრილობლად
შუბლზე ნაფენი.
შედაისება,
ბულბულთ სტვენა,
ცაზე მზის ლარი
და ნარიყალა
მთის კალთიდან
კუშტად მზირალი.
გარდასულ ჭირთა
მოგონება,
სათარეს კილო,
სევდა მზერაში,
ჩამოხსნილი
შავი ღილკილო.
თამადის ქება,
ყანწის ტყორცნა,
სიტყვა ქართული,
ხის შამფურები
ნაკვერცხლებზე
გადახლართული.
კვლავ სასმისები
ათასგვარი,
ისევ ქართული
და აზარფეშა,
ტატოს ყალმით
ამოქარგული:
„ამავსებ ღვინით,
აგავსებ ლხინით,
შესვი? გაამოს!“
ცისკრის კრიალი,
სხივთა ფენა
ნაწამწამარი
და სიონიდან
ზარის რეკვა —
კვნესა თამარის.
ბადის ამოხსნა,
თევზის თარფი
დიდი თაბახით —
ეს სილაზათე
მალხინობელ
ძველი ყაბახის.
დილის საარი,
სუფრის აშლა,
მამლის ყივილი
ძველი თბილისი,
ჩემი თბილისი —
წარსულის სიტყვა
და... მომავალი!

ბავშვების აღსაზრდელად

„ჩვენი თეატრი“ თანმიმდევრულად მიჰყვება მოზარდის ცნობისმოყვარეობას, გვასწავლის ფიქრს, განსჯას, გზას გვიკვლევს ბავშვური სამყაროდან წინ, რთული ცხოვრებისაკენ. აი რატომ გვიყვარს ჩვენი თეატრი“.

ამ სიტყვებით გახსნა მოსწავლე ნინო ვაშაიძემ საქალაქო დისპუტი, რომელიც მიეძღვნა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ახალ დადგმას „ანა ფრანკის დღიური“.

ამ დღეს მოზარდ მაყურებელთა თეატრში განსაკუთრებული ინტერესით მოვიდნენ ქალაქის მოსწავლეები, პედაგოგები, ხელოვნებისა და პრესის მუშაკები, რადგან იცოდნენ, რომ დღეს არ იყო ერთ-ერთი რიგითი სპექტაკლი. სპექტაკლის შემდეგ აზრთა გაზიარებას, დადგმის შეფასებას, გულახდილ საუბარს წარმართავდნენ თეატრის მუდმივი მაყურებლები — თბილისის მოსწავლეები.

სპექტაკლის შემოქმედებითი კოლექტივისა და მოსწავლეთა შეხვედრა მოამზადა თბილისის განათლების განყოფილების მხატვრული აღზრდის სახლმა. ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკებისა და ქალაქის მოსწავლეთა ეს საქმიანი შეხვედრები დიდი ხანია დამკვიდრდა მხატვრული აღზრდის სახლის მუშაობაში და ხელს უწყობს ნორჩი თაობის მხატვრული გემოვნების ამაღლებას, ცოდნის გაღრმავებას, პროფესიული შეფასების უნარის გამომუშავებას.

და თუ ამჯერად მოსწავლეთა ყურადღება „ანა ფრანკის დღიურზე“ შეჩერდა, ეს ბუნებრივია. დღევანდელი თაობისათვის მეორე მსოფლიო ომის თემა უძველ ისტორიაა, მაგრამ ის, რაც ქალაბრიობამ ფაშიზმის შედეგად გადაიტანა, ადამიანების გულიდან არ ამოიშლება.

—„ანა ფრანკის დღიური“ ჩვენი სამაგიდო წიგნია, — აღნიშნა მოსწავლე ნატო მანჯავიძემ. — ფაშიზმის მსხვერპლის, ჩვენი თანატოლი გოგონას ბედი დღესაც გვაღელვებს. ჩვენ ახლობელი ადამიანივით გვიყვარს ანა და მოუთმენლად ველოდით, როგორ გადაიტანდა სცენაზე რეჟისორი შალვა გაწერელია მის ცხოვრებას...

სწორედ სპექტაკლის რეჟისურა იყო მოსწავლეთა მსჯელობის ობიექტი. ნატო მანჯავიძემ გააანალიზა რეჟისორის მუშაობა, აღნიშნა სპექტაკლის დამაჯერებლობა, ემოციური სიძლიერე, მიზანსცენების სიზუსტე და მხატვრულობა, მაგრამ დააფიქრა ფინალურმა სცენამ. მე ვგი სპექტაკლის საერთო ჩარჩოდან ამოვარდნილი მეჩვენებაო, გულახდილად მოახსენა რეჟისორ შალვა გაწერელიას.

მხატვარ მიხეილ ჭაჭავაძისა და კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის წვლილი სპექტაკლის წარმატებაში მოსწავლე ლალი გლურჯიძემ შეაფასა. მან აღნიშნა, რომ მხატვრობა და მუსიკა მთლიანად შეესაბამება რეჟისორის ჩანაფიქრს და სპექტაკლის ემოციურობას აძლიერებს.

საუბრობს მოსწავლე თამრიკო ჩიქოვანი. — შეიძლება დარბაზში არიან ბავშვები, რომლებმაც არ იციან, ვინ იყო ანა ფრანკი ან რა ბედი ეწია მის დღიურებს, — აღნიშნა მან და ბავშვური მღელვარებით ერთხელ კიდევ გააცნო დარბაზს ანას ხანმოკლე ცხოვრება, მისი ფიქრები და ოცნებები, მისი მახლობლების ბედი.

ცხოველი კამათის თემად იქცა მსახიობთა მიერ გმირთა სახეების შესრულება. მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის რეზო თავართქილაძისა და მსახიობ ტარიელ გიორგაძის გარდა სპექტაკლში მონაწილეობდნენ თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები, მაგრამ მიუდგომელი იყო როგორც მოწონება, ისე კრიტიკაც.

სტუდენტ მანანა თევზაძის მიერ განსახიერებული ანა ფრანკი საუკეთესოდ შეაფასა მოსწავლე ლალი კერკაღაშვილმა. „ჩვენ ვიცნობთ ანას პორტრეტს. სულ სხვაგვარი გარეგნობა აქვს მანანას, მაგრამ მაყურებელი უცებ იჯერებს, რომ სწორედ ესეთი უნდა ყოფილიყო ანა ფრანკი — ცელქი, ალერსიანი, მგრძნობიარე, ასაკის შეუფერებლად განვითარებული“ — აღნიშნა ლალიმ და სიხარული გამოთქვა, რომ ნიჭიერმა ქალიშვილმა წარმატებით დასძლია რთული როლი.

რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, რეზო თავართქილაძეს მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში დიდი ხანია დამკვიდრებული აქვს ბავშვების საყვარელი მსახიობის სახელი და ამჯერადაც მოსწავლეთა საერთო აზრი გამოხატა ლალი მერებაშვილმა, როდესაც მიუსწოცა მსახიობს მორიგი გამარჯვება ბატონ ფრანკის როლში. ლალიმ აღნიშნა, რომ ამ სპექტაკლში რეზო თავართქილაძე გვივლინება არა მარტო კარგ შემსრულებლად, არამედ შესანიშნავ პარტნიორადაც, რომელიც ახალბედა მსახიობებს უადვილებს როლის დაძლევას.

მოსწავლეებმა თეა სურმავამ, ეთერ გაბუნიამ, მარინე ასანიძემ ამომწურავად ისაუბრეს მსახიობების ლია ლაზაშვილის (ქალბატონი ფრანკი), ნანა ბერაძის (მარგო), ტარიელ გიორგაძის (ბატონი ვან დაანი), აკაკი შანშიაშვილის (პიტერი), დარეჯან ხარშილაძის (ქალბატონი ფრანკი) და სხვათა შესახებ. ყველას ჰქონდა თავისი მოსაზრება, შენიშვნა ან შეკითხვა მსახიობების მიმართ და როლსაც სპექტაკლის მონაწილენი საპასუხო სიტყვისათვის ემზადებოდნენ, უფრო მეტად ღელავდნენ, ვიდრე სპექტაკლის წინ. ნორჩი მაყურებლების გულახდილი აზრი, შეფასება და ინტერესი მათგანაც გულახდილობას მოითხოვდა. ამიტომ იყო ესოდენ საინტერესო და შინაარსიანი რეჟისორ შალვა გაწერელიას, მსახიობების რევაზ თავართქილაძის, მანანა თევზაძის, ტარიელ გიორგაძისა და სხვათა გამოსვლები. მათ გულწრფელი მადლობა მოახსენეს მოსწავლეებს საინტერესო შეხვედრისათვის, ისაუბრეს სპექტაკლზე, თეატრის მომავალ გეგმებზე და აღუთქვეს ნორჩ მაყურებლებს ახალი დადგმები, ახალი შემოქმედებითი შეხვედრები.

ლეილა ზვიადაძე



სურათზე: საუბარი სპექტაკლის შემდეგ.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

დაგეძებენ, მოგელიან

გიორგი (ნიკუშა) ივანეს ძე შანიძეს,

დაბადებულს 1921 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამებაში, ეძებენ დედა — **ნინო (ფაცია) ჯაში,** დები — **ლალი, თინათინ,** ძმები — **მიხეილ, ალექსანდრე შანიძეები,** მცხოვრებნი თბილისში, ლენინის მეორე შესახვევი № 5.

ოთარ გიორგის ძე კაკაბაძეს,

დაბადებულს 1922 წელს ბათუმში, ეძებენ დედა — **ელენე,** მამა — **გიორგი,** დები — **ნელი, მერი კაკაბაძეები,** მცხოვრებნი ბათუმში, შაუმიანის ქუჩა № 1.

გივი ილარიონის ძე ჯაფარიძეს,

დაბადებულს 1920 წელს ონში, ეძებენ დედა — **ნინო,** ძმა — **ზალიკო ჯაფარიძეები,** მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 51, კვარტალი II, კორპუსი IV, ბინა 33.

გივი ივანეს ძე ჯავახიშვილს,

დაბადებულს 1921 წელს მცხეთის რაიონის სოფელ ქსანში, ეძებენ მამა — **ივანე,** ძმა — **ამირან,** დები — **ნინო, ეენია, თამარი, მარგო, მანია, ზინა ჯავახიშვილები,** მცხოვრებნი სოფელ ქსანში.

გერონტი რევაზის ძე ჯელაძეს,

დაბადებულს 1892 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავში, ეძებენ მეუღლე — **ვასილა,** შვილები — **ვალიკო, ანთიმოზ, მარო, ამბროსი, ელიბო ჯელაძეები,** მცხოვრებნი სოფელ ურავში.

გრიგოლ გერონტის ძე ჯელაძეს,

დაბადებულს 1922 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავში, ეძებენ დედა — **ვასილა,** დები — **მარო, ელიბო,** ძმები — **ვალიკო, ანთიმოზ, ამბროსი ჯელაძეები,** მცხოვრებნი სოფელ ურავში.

სევასტი სტეფანეს ძე ნებიერიძეს,

დაბადებულს 1919 წელს ახალციხეში, ეძებენ ძმები — **პეტრე, ვახტანგ,** დები — **მარგო, მაყვალა ნებიერიძეები,** მცხოვრებნი თბილისში, თემქის დასახლება, IV კვარტალი, მე-9 კორპუსი, ბინა 30.

აპოლონ გიორგის ძე უგრეხელიძეს,

დაბადებულს 1912 წელს ქალაქ წულუკიძეში (ხონი), ეძებენ და — **მარიამ,** ძმები — **ანტონ, დავით, გიორგი, ივანე უგრეხელიძეები,** მცხოვრებნი თბილისში, ოქოს ქუჩა № 8.

ნიჯვალი ძაგალის ძე ლათათიას,

დაბადებულს 1921 წელს გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებში, ეძებენ დედა — **ბაბილო,** ოები — **ფიქინო, ოლია, ქვათა ლათათიები,** მცხოვრებნი სოფელ ქვემო ბარღებში.

ანატოლ ავთანდილის ძე ჟორდანიას,

დაბადებულს 1914 წელს ლანჩხუთში. ეძებენ დედა — **ელისაბედ,** დები — **შურა, ტასო,** ძმა — **ტიტე ჟორდანიები,** მცხოვრებნი ლანჩხუთში, მარქსის ქუჩა № 55.

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე დარაშვილს,

დაბადებულს 1912 წელს გურ ჯაანის რაიონის სოფელ კარდან ში, ეძებენ დედა — **ნინო,** დე — **ვარა** და **ელიკო,** ძმა — **ნიკ ლოზ დარაშვილები,** მცხოვრებ სოფელ კარდანახში.

ნიკოლოზ ისიდორეს ძე გოგეშვილს,

დაბადებულს 1915 წელს ბათ მში, ეძებს ძმა — **მიხეილ გოგ შვილი,** მცხოვრება ბათუმში, ლვა ელიავას ქუჩა № 4-ში.

სევერიან მოსეს ძე ჩხაიძეს,

დაბადებულს 1905 წელს მახ რაძის რაიონის სოფელ მთისპირ ში, ეძებს და — **ოლია ჩხაიძ** მცხოვრები თბილისში, ტარიელ ქუჩა № 4.

რედაქტორი
გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-66-2

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 2

ინდექსი 66488